


გაზეთის ფასი

მაგზავნი	თვე	წელი	ფასი
საქართველოში	7 მან.	6 მან.	50 კ.
საზღვარს გარეშე	4 —	3 —	2 —
საზღვარს გარეშე	2 —	1 —	1 —

# ქრონოსი



ხალის-მოწარმე მიიღება:

ქრონოსი „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ტბუთოვის სახლში  
 ქრონოსის გარეშე მცხოვრებთათვის აღრის: ВЪ Тифлиси. ВЪ  
 контору редакціи грузинской газетѣ „ВРЕМЯ“  
 რედაქციის კანტორაში მიიღება უცვლელ-გვარი **ბანსადება**  
 სხვა და სხვა ენებზედ. შპის განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-  
 ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

### შინაარსი:

პოლიტიკა: ისპანია, — შარანია, — ავსტრია და  
 მენგრა, — პრუსია, — ტელეგრაფები. — სედეგრა-  
 გიური შენიშვნები. — სხვა და სხვა ამბავი. — ლე-  
 ქსები: „მლეგა“ და „მაგვის ჩივილი“. — საჯარო  
 ცნობები: ტაქტა მბილისისა და შუთისისათვის. —  
 „მიმოვლა რუსეთისკენ.“

### პოლიტიკა.

#### ისპანია.

— ამ ჟამად მმართველობის სრული ყურად-  
 ლება იმაზე მიქცეული, რომ რამე რიგათ  
 დაამშვიდოს არეულებები, რომელნიც მხდ-  
 ბიან თითქმის ისპანიის ყველა პროვინციებში.  
 ისპანიის ტახტისთვის მფის ამორჩევაზე კი  
 აღარაფერ არ ლაპარაკობს; უცხო ქვეყნების

#### მიმოვლა რუსეთისკენ.

შინა სიტყვაობა, ანუ მიხევეული  
 მოხვეული ლაპარაკი.

ბევრი ენაზე ქვეყნის უბედურება,  
 შევლა კაცი ცრუ სოფელს ემდურება...

მოდი მკითხველო, პოეტსავეთ, მეც ამ  
 ორი ლექსით დავიწყებ ჩემს დაკვირვებას;  
 მაგრამ ვანა არ ვიცი, მაშინვე ცივად დამა-  
 ტაკებ ამ სიტყვებს: „არა, დლოცილო,  
 მოპარული ლექსებით რომ არ დავიწყო საუ-  
 ბარი, ვითომ, დავიჯრო საკუთარმა გოგრის  
 საუნჯემ ვგრე უცბე გილატაო?... — და მეც  
 სწორეთ ვიხიბრა ფერმა ვადამკრა. — რათა —  
 მეტყვი? — აბა, როგორ გითხრა?.. მანა თი-  
 თონ ვერ მიხედებ? — შერი სხვას ვის ეცე-  
 ლება დაწამაზე, თუ არ დანაშაულის მქო-  
 ნებელსა. მაგრამ ჩემი გამართლება ამ შემთ-  
 ხვევაში ბრძენისთვის მიმინდოა, რომელსაც  
 უთქვამს კოკობი ვარდი ბულბულისათვის და-  
 სახულაო: — ბულბულაო, საცა მანხო შენი  
 ხედრო, იქ დაჰყეფე, მაგას არინ გიზახახსო...  
 როგორც კოკობი ვარდი ბულბულის სატრ-  
 ფოა, ვგრეთვე ყოველი კარგი აზრი ჩვენი  
 ქუის სასუქარია. დიდება იმას, ვინც პირველ  
 ეს მშვენიერი აზრი წარმოუსტევა, თორემ რა-  
 კი ვხევის გონებას მოხვდა, მას შექდევ  
 ვის რა დავა აქვს; ის აზრი ჩვენია და ჩვენი.  
 მ.შ ვარდის კონასავით ვგ რომ ერთმანეთს  
 ვვარდოლოთ, მაგში ან შენ რათ გამკიცხა,  
 მკითხველო, და მებომ ლმერთმა დამიფაროს  
 მაგისთანა მოქმედებისაგან. აბა, ახლა შენ-  
 გან გამოჯაგრებული, ერთხელ კიდევ თაი-  
 გულსავით ვადმოგიგდებ ამ ლექსებსა:

ბევრი ენაზე ქვეყნის უბედურება,  
 შევლა კაცი ცრუ სოფელს ემდურება.

მართლა და რა კარგია მკითხველო პოე-  
 ტობა, თუ პოეტობასთან აზრიც ტრიალებს  
 თავში. მაშინ ის მშვენიერათ გამოკვანძილს  
 თითო-ორი სიტყვებში ისეთ აზრს გამო-  
 ისერის ხოლმე, რაც უნდა ბევრჯელ დავე-  
 წაფოთ ამ გონების გამამდიდრებელს წყაროსა,  
 მაინც ვერ დავშოვებთ და ვერა. შოველ  
 დაწაფებაზე პოეტის ნაკვანძი აზრი სულ სხვა

გაზეთებიდან სჩანს, რომ მმართველობა აღარ  
 უმართავს ხელს შერუის გერცოგის კანდიდა-  
 ტობას, რადგანაც იმის მხარე ისპანიაში მა-  
 რტო პროგრესისტებმა დაიჭირეს.

— იმ არეულობის გამო, რომელიც მოფენი-  
 ლია ახლა შიველს ისპანიაში, შინაგანი საქმე-  
 ების მინისტრმა — საგასტამ შეიტანა კორტე-  
 სებში პროექტი, რომლითაც მმართველობას  
 შეუძლია დროებით შეაჩეროს კონსტიტუ-  
 ციის შემდეგი მუხლის ძალა: მუხ. 2. არც  
 ერთი ისპანიელი, არც ისპანიაში მცხოვრები  
 უცხო ქვეყნელი არ შეუძლია დატუსაღოს  
 კაცა, თუ რაიმე დამნაშაობაში ფორმალუ-  
 რათ არ არის ის გამტყუნებელი. მუხ. 5.  
 არავის არ შეუძლია შევიდეს დაუკითხავთ  
 არც ისპანიელის და არც ისპანიაში მცხოვ-  
 რები უცხო ქვეყნელის სადგამში, გარდა იმ  
 შემთხვევისა, როცა აუცილებლათ საქირა

და სხვა ფრთ იქცევა; იმისი ერთი აზრი ათასს  
 სხვა-და-სხვა აზრს გვიღვივებს და ფრთებს  
 უსხამს ჩვენს გონიერებას. მაგრამ პოეტიც  
 არის და პოეტობა. ჩვენი ახლანდელი პოე-  
 ტები კი ლმერთმან შეინახოს; იმათ უსწავ-  
 ლიათ სიტყვების ლექსებათ გამოკვანძა და  
 აზრი კი ვაჰფერნიათ... მაშინათო?.. — პრამც-  
 თუ ვაჰფერნიათ, იმათ გონების ხეზე ამის-  
 თანა ფრინველი თავის დღეშიც არ შემჯღა-  
 რა. იმათი თხზულება კიდევ იმითრამა დღე-  
 ვის და ვერ გაუნათებია ტყეში ფუტუროსა-  
 ვითა.

პირიან ჩვენში დღეს „პოეტები“,  
 შორიდან თუშცა ბევრს გინათებენ,  
 მაგრამ ახლოს კი დლოცილოები  
 შუტურთხავით ვედარ გვარგებენ.

მკ, შენი ქართველური გულწრფელობის  
 ჭირიმე, ჩემო ახლანდელი პოეტო, რომ  
 თვითონვე პოეტურათ დაგინატავს შენი სუ-  
 რათი; მაგრამ შენ მაგის მიზეზი მიჩენე და...  
 მიზეზი ის არის, რომ ლექსების კვანძა ბევ-  
 რი არა უნდა და აზრიანათ მღერას კი ისე-  
 თი საფუძვლიანი სწავლა უნდა, როგორც  
 ვარსკვლავთ მრიცხველობასა და ბუნების მე-  
 ცნიერობასა. ლექსების პენტეა ცოტა შრო-  
 მას მოითხოვს და საფუძვლიანათ სწავლა დიდს  
 ჯაფასა; ჩვენი პოეტები ხომ ამაზე უკაც-  
 რავათ გახლანენ, მამის შეიღები ვართო  
 იძახიან, იმითრამა ფუტუროსავით ანათებენ?..

დახე, ლოლიკას! რითი დავიწყე და რითი  
 ვათავებ. საკვირველია, რომ მეც ზღაბა შრია-  
 შვილისავით შემართება! ის საწყალი ბატონის  
 გამოჯაგრებული მივიდა შირივის პოსლენი-  
 კთანა (როგორც ჩვენში იტყვიან) და საქმის  
 მოკლეთ მოხსენების მაგიერათ აღამიდგან და-  
 იწყო თავის თავისა და მამის პაპის გაჭირების  
 ამბავი: რაც ნაღველი გულზე მოგროვებოდა,  
 სულ შირივის პოსლენიკის წინ უნდა დაწა-  
 მოეთქვა, მაგრამ დახე იმის უბედურებას, მეს-  
 სიერობამაც აკი უმტყუნა; ერთი მეორეზე  
 დალაგებით მოხსენება რა ეგრე მოახერხა,  
 სულ ერთსა და იმავე დუღუნება: შენი ჭი-  
 რიმე პოსლენიკო, ნუფხარ შირისთვის დრო-  
 საო, სისხლის წვიმების დროსა...? მითამ  
 და რაო? შენი ჭირიმე, პოსლენიკო, რაც

იმითი შეველა, როგორც მაგ. ცეცხლის ან  
 ავაზკვებას დაცემის დროს; ამას გარდა ისპა-  
 ნიელის სადგამში შეიძლება შევიდეს მისა-  
 მსახურე პირი სასამართლოს განკარგულებით,  
 ისიც დღისით. — მუხ. 6. შსამართლოთ ვერც  
 ისპანიელს და ვერც ისპანიაში მცხოვრებს  
 უცხო ქვეყნელს ვერ გამოაცვლენენ კაცი-  
 საცხოვრებელ ადგილსა. მუხ. 17. ვერც  
 ერთს ისპანიელს ვერ ჩამოერთმევა უფლება:  
 ა) თავისუფლათ ლაპარაკისა საეროთ და აზრის  
 გამოთქმისა სტამბით, ბ) უფლება მშვიდობიან  
 კრებებში მონაწილეობის მიღებისა, გ) უფ-  
 ლება ასოციაციების შედგენისა და დ) უფ-  
 ლება ხელმოწერისთვის და კორტესებისთვის  
 თხოვნის მიცემისა. —

— მადრიდის კორრესპონდენტი „Independence  
 Belge-ისა იწერება ოკტომბრის მ-დგან, რომ  
 საქმე ძალიან მიმდება და ჯანლი გავრცელ-

მაშინ ჩვენ ზურგზე სისხლი აწვიმესო, შენ  
 ეხლა იმის მაგიერათ ზეცით მანან გეწვიმეო.  
 ამ ზღაბა შრიაშვილისა არ იყოს, ახლანდე-  
 ლი ცრუ პოეტების ლექსების კითხვამ იმდე-  
 ნი ნაღველი დამიგროკა გულში, რომ რაზე-  
 დაც უნდა ვილაპარაკო, ბოლოს მაინც სიტ-  
 ყვა იმათკენ უნდა მივაბრუნო და ამით გავა-  
 თაო, როდის იქნება ფუტურო პოეტების გადა-  
 დნა სალიტერატურო ასპარეზიდგან-მეტქი.

შუკრავათ მკითხველო და მე კიდევ ჩემს  
 მოთხრობას დაუბრუნდები. მართლაც ბევრი  
 რამ კარგი ენახე, ბევრმა დამაუიქრა, მრავა-  
 ლმა უცხო საგანმა გამიტაცა და ესენი ისეთ  
 რიგათ ამერ-დამერიენ თავში, რომ არ ვიცი  
 პირველად რომელს ვსტაცო ხელი? — შეველა

ხელსატაცებელია, ყველა ერთგვართ იზიდავს  
 ჩემს გონებასა. მშვიერ კაცს რომ ნაირ-ნაირ  
 საქმელებით შემკული სუფრა თვალ წინ  
 დაუდგა, აბა როგორ ვარჩევს, ვერ რომელს  
 მიპყოს ხელი და მერე რომელსა. სითვალხა-  
 რზე მაშინვე ამას აფიქრებინებს, ესენი უეჭ-  
 ველად, ყველა ერთაშათ შუცელში უნდა  
 ჩავიდგაო: მრთს საქმელსაც წაჭკრავ პირს,  
 მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთესაც... და  
 უცბათ ვაჩერებ, ასე გგონია ვაძლო, მაგ-  
 რამ თქვენი რისხვა არა მაქვს, იმის კუქს ფა-  
 რისგი არა მოსცხებოდესრა. საქმელები ისევე  
 ხელუხლებლათ დგანან, თითქოს ვერ კაცი  
 არკი მიპყარებოა: ნაირ-ნაირ საქმელებზე  
 ერთაშათ დატაკებამა კუქში არა ჩაუშვარა  
 და გული კი გაუჯერა იმ საწყალსა: გამძღარი  
 არ არის, მაგრამ რომ მოჰკლა, ერთ ლუქმა-  
 საც ვედარ შეაქმეე. სწორეთ ამისთანა მდგო-  
 მარობაში ვარდება ხოლმე ჩვენი ახალი თა-  
 რობაცა. რაკი პეტრეს ქალაქში პირველად  
 ფენს შედგმენ ჩვენი ყმაწვილები, მისელაზე  
 უმალ დახედებათ ხოლმე იქ დიდებულათ შე-  
 მკობილი სუფრა ყოველი გვარი მეცნიერე-  
 ბითა. სწავლაზე დაღირსებული ახალგაზლობა  
 ერთაშათ დატაკება ხოლმე ყველა მეცნიე-  
 რებასა: ამასაც წაველებს ხელს, იმასაცა — მატე-  
 მატკასაც ეჭიდება, ბუნების მეცნიერებასაც,  
 ასტრონომიასაც, იუროს პრუდენციასაც, სა-  
 პოლიტიკო მეცნიერებასაც და ვინ იცის რამ-  
 დენს რასა. ამისთან დატაკება ქუა-გონებას

და ანდალუზიაში, მადრიდში, ბარნადაში  
 და მურსიაში. მაგრამ ამ პროვინციებიდან  
 ძალიან ცოტა ამბები მოდის, რადგანაც ინსუ-  
 რგენტები პირველათ ტელეგრაფის მავთულებს  
 სწევენ.

— ოკტომბრის 4-ს. პროვინციები-  
 დგან მოსულა შემდეგი ამბები: მოჯანდე  
 რესპუბლიკელები ჯარს დაუმარცხებია და და-  
 უფანტავს. — რესპუბლიკელები აჯანდებულ-  
 იყენენ ქალაქს რენში, მაგრამ ისევე მალე  
 დამშვიდებულიყენენ, რადგანაც მოქალაქეებს  
 მხარი არ მიეცათ იმათთვის. კატალონიის  
 რკინის გზები ბევრს ადგილას წაუხდენიათ,  
 მაგრამ პარიჯსა და მადრიდს შუა გზა მთლათ  
 გადარჩენილა; რესპუბლიკელებს აქ თავიანთ  
 სამყოფათ აურჩევიათ მარნესი და ანდალუ-  
 ზელ რესპუბლიკელებს — მედინა-სილონთა.

— ისპანიის მმართველობამ ახლა საქარათ  
 მოიყვანა აღსრულებაში ის კანონი, რომლი-

მალე აჯერებს და ართქვს იშტასა, ანუ უკეთ  
 ვთქვათ საფუძვლიანათ სწავლის ხალისსა.  
 ამას შემდეგ ახალ გაზდა ოჩან ჯორსავით  
 დაიწყებს ტონიკას ერთ ადგილაზე: რაც  
 უნდა ბევრი ეცადო, წინ ვედარ გადენი. ხა-  
 ნდა ხან შენც აკი იცი, მკითხველო, ტონი-  
 კეა კი არა, ლაპარაკი, ჩვენი ახალგაზლობის  
 მადრიელი ვართო, ამიტომ რომ ჩვენზე ბე-  
 ვერი იციანო, მაგრამ რალაც რომ არა აკლ-  
 დესთ რა, არ შეიძლებაო. — ღიან, ნამდვილი  
 საქმეა რომ იმათ აკლიათ და იცი რა აკლიათ?  
 — საფუძვლიანობა. ისინი ყველაფერზე ბევრს  
 გელაპარაკებიათ და საფუძვლიანათ კი არა  
 ფერზე. იტყვი — ეს დიდი ნაკლულევანებაო.  
 რაქნათ, ყველაფერი დროს მოაქვს...

როცა ჩემს მოგზაურობაზე მინდა დავიწყო  
 ლაპარაკი, სწორეთ მეც ჩვენი ახალი თაობის  
 ალაგას ვიშოვებო. შეველა შესანიშნავი ამბე-  
 ბი ერთაშათ მიფუთფუთებენ თავში და არ  
 ვიცი, პირველად რომელს წავატანო ხელი.  
 თუ ამ მდგომარობაში დავრჩი, მე ვიცი ამ  
 ჩემ ჩხანას ისე ვაფათავებ, რომ ვერა ფერს  
 საფუძვლიანათ ვერ მოგიყვებით. ამისთვის  
 მინდა ერთი საშუალება ვინმარო. რაც შესა-  
 ნიშნავი რამ მიტრიალებს თავში, ყველა მი-  
 ნდა ჩავაწყო ცალკ-ცალკე გონების უჯრებში,  
 მერე დავიწყო უჯრების ღება სათითოვოთ.  
 სანამდის პირველ უჯრას არ გამოგებრტყავ,  
 მეორე უჯრას ვასაღებს არ მივაკარებ. მსე  
 არა სჯობია, მკითხველო? — სწორეთ, სწო-  
 რეთო — მეტყვი. — მანა არ ვიცი შენი დამ-  
 ჯდარი ქართული გონების ხასიათი.

პეტერბურგი და მოსკოვი.  
 მისაც მარტო რუსეთის ქალაქებში უმო-  
 გზაურია, იმას პეტერბურგი პირველ ნახვაზე  
 ძალიან ვაკვირებებს. აქ ყოველის ფერი სხვა  
 ნაირია. აქ ბუნებაც უფრო მუდლიანია და  
 კაცებიცა. პეტერბურგზე გადაკრული შვი  
 ბული ახალ მოსულს თითქოს ამას ეუბნებოა:  
 აქ ქიფ-შექცივის ალაგი არ გახლავთო! მე  
 ვარ სახე მიმიც ცხოვრებისა, რომელიც თავი-  
 სი გაჭირებით კაცს თავზე დასწოლია, ძაცი  
 ან წელში უნდა გაწყდეს, ან არა და ამ მი-  
 მე ტვირთის შესამსუბუქებლათ უნდა მოი-

თავი შეიძლება დროებით მოშლა კონსტიტუციის გარანტიისა. შრილობის უფლება...

— მადრიდი, ოკტომბრის 10-ს. კატალონიში დაუბრუნებიათ რესპუბლიკელები...

ხმაროს მთელი კაცობრიობის ქუის ნაყოფი. აქ დიდებული სახლები უფრო დატყვევების...

მინ არის ის დიდი გეგმა, რომელმაც ააგო ეს დიდებული სასტუმრო? — მაგდალა ნაბიჯი...

— მალენსიიდან იწერებინ, რომ იქაც არ უფროა მოხდა...

ფრანცია.

პარიჟი, ოკტომბრის 8-ს. პარიჟში ბევრი შიშით მოვლის 26 ოკტომბერს...

პარიჟი — ოკტომბრის 9-ს. ავერონის დეპარტამენტში...

რულდი, დიდებული პეტრე! ნაშრომი შენი დღე-ნიადგ უფრო მრავლობს და ნაყოფიერდება.

სანადის პეტრე პირველი ამოუბრწყინებელი რუსეთსა, ეს მხარე სთვლემდა უმეტესად...

პეტრემ კარგათ იცოდა თავისი გაუნათლებელი ერის სიკვამლე. ამას ეწერა გამოიყვანდა...

„მრლენის კამპანის მუშებს შეუკრავთ პირობა არ ეიშუშაოთ და არც ახანაგები გაუშვათ...

„მუშინ წასულან კანტონარში და დაუტყრიათ ინჯინერი, რომ უნდა რკინასთან დაგადაოთო. ბევრი ცდილან...

პარიჟი, ოკტომბრის 9-ს. მავით „Constitutionnel“ ში აცხადებენ, რომ მმართველობის პოლიტიკა...

აი ამ დროდგან დაუდგა დიდებული და ნათელი დღე რუსის ერსა.

— ნევა ძლიერ დიდა და მოხერხებული მდინარეა გემების სასაირულოთ. ის გამოდის ლადოგის ტბიდან...

აი, რუსები ამიტომაც ეძახიან პეტრეს „ბატუშკასა“ (მამასა), როგორც თავის ქვეყანას „მატუშკას“ (დედას).

პირველად მისული კაცი პეტერბურგში ძალიან გაკვირებულია, რომ რუსული ენა იშვიათად ესმის.

პეტერბურგი ძალიან ერჩევა მოსკოვსა. მოსკოვში ახალ მოსულს ორი საგნის მეტი არა გააკვირვებს...

— ზუშინ ყოფილა სხდომა მინისტრების რჩევისა, რომელზედაც მოულაპარაკიათ შემდეგ საგნებზე: ბაჟის დაკოტავება...

ამსტრია და ვენერია.

ვენა, ოკტომბრის 5-ს. — მავით „Neue Treie Presse“ ამბობს, რომ გრაფს ბეისტს უთქვამს ერთი ნაცნობი დეპუტატი...

შეიძლება, ისე ნათლად ამტკიცეს უმთავრეს ხასიათს რუსეთისა. სიგძე სიგანით შორს გატანილი ქალაქი ხატავს მთელი რუსეთის თვალ-გაღწევედნელს...

პეტერბურგში ყველაფერი თავის ადგილზეა, ქუჩები სწორათ დახაზულია, არც ერთი შენობა უხეიროთ არ ეჩრევა სხვებში; ყველაფერი დაგვილი და დაკამკამებულია; ყოველ გვარი უწმინდურების გასარეცხათ მრავალი რუხია გაყვანილი.

მოდეს შრანციში და დიციან მონარხიული პრინციპები, თუ ნაპოლონი III მოკვდა.

ზარდა ამისა გრაფი ბეისტი ცდილობდა დაეცა სიმშვიდე შიგ პარიჟში; ამას ურჩევია შრანციის მმართველობისათვის, რომ, რასაც ნაცია თხოულობს, ყველაფერში დაეკმაყოფილეთ იმისთვის, რომ სიმშვიდე იყოს და ნაპოლონის შთამომავლობას დაუმკვიდრდეს ტახტი. ბრაფი ბეისტი ამბობს: — ჩემმა ცდამ პარიჟში მიასწა თავის მიზანსა და დეკემბრის პირველ რიცხვებში ძანამდებელს ძორაჟუს მმართველობა წარუდგენსა დასამტკიცებლათ ისეთს კონსტიტუციას, რომელიც დაეკმაყოფილებს ლიბერალების უპირველესს მოთხოვნებს და ხალხსაც მორიგებს იმპერატორის მმართველობასთანაო. ზემოაღნიშნული გაზეთი გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები ნამდვილათ გრაფ ბეისტმა სთქვაო.

პ რ ო ს ი ა .

ბარლინი, ოკტომბრის 8-ს. — შინაგანი საქმეთა მინისტრისაგან შეტანილია წესდებულების პროექტი, რომლითაც უფლის სამმართველო იცვლება და ხდება სახალხო სამმართველოთ (თვით მმართველობა).

ტ ე ლ ე ბ რ ა მ ე ბ ი

პ ა რ ი ჟ ი, ო კ ტ ო მ ბ რ ი ს 11-ს. ბანდგამილებმა ობნენის მადნის მოხრელებმა ხელახლათ მოჰკიდეს მუშაობას ხელი.

მთელს რუსეთს, ისე მოსკოვს წყალი ეძიებოდა. იქ პატარა მოსკოვ მდინარის მეტი წყალი არ არის. სასმელათ ქისა და წყაროს წყლებს ხმარობენ. მითი სიტყვით მოსკოვში ყველაფერი რუსულს რიგზეა.

Здѣсь рускій духъ,  
Здѣсь Русью пахнетъ....

მოსკოვში სწავლა-განათლებლასაც სხვა სახე აქვს. იქ არის ისეთი პარტია, რომელიც ამბობს, რომ მთელი მეროპის განათლება დაძველებული, ამძოვრებული განათლებაა. ჩვენ როგორც ახალს ვრს მეროპის განათლება არ გვარგებსო, ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი განათლებაო. ამ პარტიას ეძახიან „სლოვენო ფილებსა“ ანუ სლოვენების მოყვარულსა. — სიტყვა სლოვენი აჩვენებს რუსის ერის გვარტომობასა. პეტერბურგის სწავლა-განათლება უფრო შეკავშირებულია მეროპისაზე. არც პარიჟში, არც ლონდონში იმისთანა შესანიშნავი არა მოხდება, რომ საღამოს პეტერბურგში არ იცოდნენ და იმაზე არ ლაპარაკობდნენ. პეტერბურგში ისეთი სწავლულები, ზოგი რუსთაგანიცა, რომელნიც მეროპის სწავლულებს ძმურათ ეხმარებიან რაიმე სამეცნიერო აზრის გამოკვლევაში, ახალი კანონების გამოცემაში და სხვ. პეტერბურგის ცხოვრება გაუყრელად არის შეერთებული მეროპის ცხოვრებასთან. პეტერბურგია წარმომადგენელი მეროპის განათლებისა რუსეთში, მოსკოვია თავი მთელი რუსეთისა. როგორც რუსეთი მეროპას ხელს უწყვედს სწავლისთვის, ისე მოსკოვი პეტერბურგსა. როგორც რუსეთი ეჯობრება მეროპას სხვა და სხვა საპოლიტიკო საქმეებში, ისე მოსკოვი ებუზღუნება პეტერბურგსა. რუსები მოსკოვსაც „მატუშკას“ ეძახიან, რადგან ეს ქალაქი ნამდვილი სურათია მთელი რუსეთისა.

ჩვენ ქართველებისთვის ერთის მხრითაც ძვირფასი გახდება პეტერბურგი მწუხარე მოგონებით. . . . . ჩემს იქ ყოფნაში პეტერბურგის მიწამ მიიბარა საუკეთესო ქართველი ახალგაზდას გვამი.

მ ა დ რ ი დ ი, ო კ ტ ო მ ბ რ ი ს 11-ს. პრაგონის ინსურგენტები დაშვიდდნენ.

პ ე ლ ა გ ო ზ ი უ რ ი უ ნ ი ო მ ე ბ ი .

(წმინდა — მეცრამებურ საუკუნის მამები და შვილები \*).

„მე მოვიყენ ერთს კერძო შემთხვევას, ამბობს ლეგუე; მაგრამ ვეცდები, რომ ამ კერძო შემთხვევას საზოგადო და საინტერესო მნიშვნელობა მივსცე; მე გამოვხატე ჩემს ცხოვრებას და სულს, როგორც მამისას, მაგრამ ვეცდები — ჩემში სხვა მამების ცხოვრებაც გამოვიყენაო.

„მითხელ მე ვიჯექი ბუხრის წინ და ვკითხულობდი „ჩინეთში მოგზაურობას“; იქვე თამაშობდა ჩემი შვილი წლის ეჯი; უცრათის მოგარდა ჩემთან და მკითხა: — მამა, რატომ... — მათი დამანებე. — მამა, რატომ მო-

\*) ზოგიერთი ადგილები, ამ თხზულებისა („Les pères et les enfants au XIX siècle“) უ. ბი-თაროვისაგან გამოკრეფილი, იყვნენ დაბეჭდილი ვაზ. „ღროების“ მე 37 და 38 № №-ებში. ეს სტატია ეკუთვნის იმავე ავტორს და იმავე საგანს შეეხება. კუდაგოვას ჩვენთვის ახლა ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საჭიროთ ვრაცხთ ჯეროვანი უზრადლება მივაქციოთ იმას. ლეგუეს წიგნი ისეთის ცოდნით და ხელოვნებით არის დაწერილი რომ, უეჭველია, „ღროების“ მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამის ზოგიერთი ადგილების მიხედვითაც.

რედ.

საწყალობა ბუჟან ხამაშურიძემ იქ დაჰყო თავისი სიცოცხლე. ეს ყმაწვილი ყოველად შეუძლებელი დედამის შვილი იყო. რადესაც პეტერბურგისკენ განემგზავრა, საწყალობა ეს სიტყვები წარმოასთქვა: „ან იქ უნდა მოეკვდ და ან კაცურ კაცად უნდა დაებრუნდ ჩემს სამშობლოშიო“. ბუჟან ხამაშურიძე ჩვენ ყმაწვილებში სამაგალითოთ პატროსანი, მხნე და გონიერი ყმაწვილი იყო. ამისთანა ძვირფასი ყვავილის უდროით დაქნობა დიდი დასაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის. შაი იმ ერისბრალი, რომელსაც საუკეთესო შთამომება სიყმაწვილეშივე ელუბება. სამწუხარო უფრო ეს არის, რომ ამისთანა საქმე ჩვენი უღარდელობის ბრალია. პეტერბურგში სომხის ახალგაზლობაც ბევრია. იმათში ზოგნი ისეთები არიან, რომ ლუკმა პური არა აქვთ, მაგრამ იმათა ჰყავთ კარგი მზრუნველები. იქ ყოველი შეძლებული სომეხი, იმასა ცდილობს, რომ თავის თანამეზაჟულს შეეწიოს. ბანა შეძლებული ქართველები კი ცოტანი არიან პეტერბურგში, მაგრამ არც ერთმა იმათგანმა თითქმის არც კი იცის, არიან თუ არა, იქ ქართველი ყმაწვილები. . . . .

მ ე დ რ ო ჟ კ ე ს თ ა ნ ს ა უ ბ ა რ ი .

მითხელ პავლოვსკიდან დაებრუნდი პეტერბურგს. შუალამე იყო. რკინის გზის ეოკალიდგან ჩემი საზინაო სახლი კარგა მოშორებით იყო. სოტა დაღალული ვიყავი და იზოვსიკს დაუძახე. ჩემ ხმაზე მოჩინაილდა ფერდებ მიკრული ცხენი თავის პატრონიანა.

— ჩაბძანდი, ბატონო, ჩემ ცხენს ვგრე ნუ უყურებთ, გამხმარია მაგრამ მერანია. — მრთ მინუტას მიგიყვან შინა. — წელკავიან ცხენს რომ ეუყურებდი, რადაც არა მჯეროდა მედროჟკეს სიტყვები, მაგრამ სხვა დროჟკის დაძახებას ისევე ამაში ჩაჯდომა ვირჩიე. მართლაც რომ ცხენი ჩანალით ძლივს მიდიოდა. მით ვიწრო ქუჩაში რომ შეუხვით, კაცის ყვირილი მოგესმა: „კარაულ, კარაულ!..“ — მე რა ამბავია, — ეკითხე იზოვსიკს. — არაფერი, ბატონო, პოლიციელებს ვინმე დაუჭირათ და ჩასტმი მიათრევენო. — წავიდეთ ვინახოთ, იქნება უსამართლოთ დაიჭირეს — მეთქი. — ბატონო, მგავს როგორ ბძანებთ,

ეკიდება ცეცხლს... — მათი დამანებე მეთქი, უთხარი მე; მაგრამ ყმაწვილი არ მეშვებოდა. — რატომ მოვიკიდება ცეცხლს, მითხარი მამა, როცა საბერველით უბერავთ? — არ ვიცი ერთი, გამეცალე; დაუძახე მე თითქმის გაგულისებული და მივიბრუნე პირი იქით; ის წავიდა მოწყენილი და მე ისევე მოვიკიდე წიგნს ხელი. მაგრამ სრულებით დამებნა აზრები: ბევრს ვცდილობდი, თავს ძალას ვატანდი, მაგრამ, რასაც ვკითხულობდი, არაფერი აღარ მესმოდა; წიგნის სტრიქონებს შუა მე მელანდებოდა ჩემი შვილის ცნობისმოყვარე სახე და იმის სიტყვები; „მამა, რატომ მოვიკიდება და სხ. მე დამაფიყდა წიგნი, რომელიც ხელში მეკავა და დაეწიყე ფიქრი ამ ყმაწვილის „რატომზე“. ბასაკვირველია — რა ცნობის მოყვარენი არიან ბავშვები! როცა უპასუხოთ გავისტუმრე ჩემი შვილი, იმის სახეზე საშინელი მწუხარება გამოიხატა. როგორ მოვიკილეთ თაიდან პასუხის მიუცემლათ? რატომ არ აუხსენი იმას კითხვა? პოველთვის რომ ასე მოვექცე, ხომ სრულებით დაეკარგება ცნობის მოყვარეობა? მაშ რათ უთხარი „არ ვიცი“ თქო? ამ ჩემი პასუხის გამოვრებამ როგორღაც შემადრწუნა მე.... მე უთხარი ყმაწვილს „არ ვიცი“, იმიტომ რომ მართლაც არ ვიციო.

„მამა“ პირველათ ვიგრძნე ჩემი სრული უმეცრება. წიგნი გამიფარდა ხელიდან. ბასაკვირველია, ღმერთმანი: მე ვცდილობ შევიტყუა ჩინეთის ამბები და ის კი არ ვიცი,

პოლიციელები ჩინით უფროსნი არიან და ამიტომაც ყოველთვის სამართლიანათ იჭერენ.

— მე რათი იცი?

— იმითი ვიცი, რომ ჩემს სიცოცხლეში მეც ბევრს ხიფათში გავბეზულვარ, ბატონო, მაგრამ, საცა ჩემზე უფრო დიდ ჩინიანთან მქონია საქმე, იქ დანაშაული ყოველთვის მე მქონებია და საცა ჩემზე პატარა ჩინის კაცს წაგზნებებივარ, იქ მე გამოვსულვარ ხოლმე მართალი. ეს ესრეა ყოველთვის.

ამ დროს შევატყე, რომ ცხენმა ჩანჩალი აკლო. იზოვსიკმა ეს ჩემზე უმაღ შეიტყო და იფიქრა, თუ ეს ბატონი რითიმე არ შეეიქციე, დროჟკიდან ჩამოხტება და ქირა დამეკარგებაო. ამისთვის მომიბრუნდა და მითხრა: — ბატონო, სიტყვასზე მომაგონდა. „პრაედანსა“ და „პრიედანსა“ ზღაპარი არ გაგგონათო? — არა — მეთქი. — თქვენ სახლამდის მინტ ჯერ კიდევ ბევრი გზაა, გნებავთ მოგიყვებით, სანამ გავათავებდე, კიდევ მივალთო. — აბა, ჰე! — მე ვუთხარი.

აქ მკითხველს უნდა მოვასხენო, რომ „პრაედანსა“ ქართულად „სამართალს“ ნიშნავს და „კრიედანსა“ — „უსამართლოს“.

ზ ლ ა პ ა რ ი .

— იყო ქვეყანაზე ორი კაციო — დაიწყე მედროჟკემ. მრთს ერქვა „სამართალი“, მეორეს „უსამართლო“. „სამართალი“ იყო ძალიან გამხდარი კაცი, სახით მოხუცებული, წელში მოხრილი, წინ ჯოხი ებჯინა და ძლივს დაჩაქუნობდა ქვეყანაზეო. „უსამართლო“ მშვენიერი სახის კაცი იყო, წელში გამართული და თვლები მუდამ დასისხლიანებული ჰქონდა ღვინითაო. მითხელ „უსამართლო“ შეხვდა „სამართალსა“ და უთხრა: ვაი, შე საწყალო, როგორ უხვიროთ დაჩაქუნობ, მიწიდან ამოდებულს ჰგავხარო. — წამო სასტუმროში ერთხელ მაინც კარგათ გავაძლობო. — რა ექნა, ძმა, ჯიბეში გროში არ მიჭკავაო, — უთხრა „სამართალმა“. — ბროში არც მე მაქვს, მაგრამ წამოდი, ნახე ჩემი ვაჟკაცობაცაო, კიდევ მოვილხენ და ფულსაც წამოვიღებო. — უთხრა „უსამართლო“. წავიდენ და სადაც უფრო მდიდარი სასტუმრო იყო, იქ შევიდენ. სასტუმროს პატრონს სტუმრები ბუზსავით

რაც ცხვირის წინა ჰხდება ყოველ ცნობის დის დღე, არ ვიცი რატომ მოვიკიდება ცეცხლს, როცა უბერავენ საბერველით, რომელსაც მე ყოველ დღე ვხმარობ... ბანა მარტო ეს? — თუ გინდ ეს ლურსმანი, ეს ქალაღი, რომელსაც ვეცდები ვაწერ, ეს წიგნი, რომელიც ხელში მიკავია! როგორ აკეთებენ ამათ? მინ აკეთებს? როდეს გამოიგონეს ამეების კეთება?... ბევრ ამ ნაირს კითხვებს ვაძლედი ჩემს თავს, მაგრამ, ჩემდა სასიარცხილოთა, ყველა კითხვებზე ერთი და იგივე პასუხი მქონდა: „არ ვიცი“.

ამის შემდეგ ავტორი შეუდგება იმის გაცნობას, რაც გარს ახვევია, რომ შემდეგში შეეძლოს თავის შვილისთვის ყველა კითხვაზე რიგიანი პასუხის მიცემა; ის გამოიკვლევს და გაიცნობს ყოველ მხრივ ჯერ იმ ნივთებს, რაც თითონ სახლშია და იმაზევე ელაპარაკება თავის ვაჟს. მოგეყვას აქ ერთი იმის საუბარი შვილთან — მინაზე.

— რაზედ ელაპარაკოთ ახლა?... მე გამოვარჩე ერთ ისეთს რასმე, რომლითაც ყველა სარგებლობს, რომელიც ყველას უნახავს, ყველას აქვს.

— რა არის ეს, მამა?

— მე გეგუთსაიფები შენ დღეს ისეთს რაზედმე, რომელიც ყველგან არის გავრცელებული, რომელშიაც მდიდარიც და ღარიბიც გრძობს საჭიროებას, იმისთანა ნივთზე, რომელიც არგებს ჩვენ ჯანმთელობას, სიმშვენიერეს და ჭკუას, რომელიც ხან ძლიერ ძვი-

ეხვიენო; ერთი ითხოვდა შამპანსკაო, მეორე ბიეშტეკსაო, მესამე ოტკასა და ვინ იცის სხვები რამდენს რასაო. აქათში „უსამართლომაც“ გაჯავრებულათ დაიყვირა, ბიჭო, მოგვართვი ესა, ესა და ესაო.

რაც ქვეყანაზე კი საქმელი და სასმელი მოიძებნებოდა, სულ „უსამართლოსა“ და „სამართლის“ სუფრაზე მოვიდაო. როცა კარგათ იქიედეს, „სამართალმა“ უთხრა: ძმობილო, რა ექნათ, რომ არც მე და არც შენ ფული არ გვაბადია! რითი უნდა გადავიხადოთ ჩვენი საღილის ფასიო? შენ დარდა ნუ გაქვს — უთხრა „უსამართლომ“ და გაერია სხვა სტუმრებში, მეოც დაიყვირა: — მესტუმრე, ნაშალი მოგვართვიო. — რაც არ მოგიცია რის ნაშალი მოგართვი, ბატონო, — უპასუხა მესტუმრემ. რისა და ხუთ თუმანიისაო, რომელიც, ეს არის, ენლა გამოართვი რომელსაც შენმა მსახურთაგანმაო. იქით ვცენ, აქეთ ვცენ, მაგრამ ვერსად ვერა იპოვესო. შეველა მსახური ამბობდა, არა მოუტიაო. „უსამართლო“ კი საოკრად ჰყვიროდა: — შეველას ეხლავ დავაქვრინებ, სასტუმროს დაგიკეტავთ, თუ ეხლავ ხუთი თუმნის ნაშალი არ მოგიტანიათო. მესტუმრეს დავიდარბისა შეეშინდა, ჰსთქვა ნეტა ეს ქირეული კაცი მოვიცილო თავი დგანაო და ჯანი გავარდეს ხუთ თუმანსაო. ოცდა ხუთი მანეთი საღილის ფასია, ბატონო, და ეს ოცდა ხუთი მანეთი თქვენ ინებეთო. „უსამართლოს“ მოახსენა და თავისი მსახურები ყველანი გაჰყარა. ამ საწყლებმა დაიწყეს ტირილით ლაპარაკი: „სად არის სამართალიო?“ „სამართალმა“ უპასუხა: — აქა ვარ და ჩუშათა ვარო! — მედროჟკემ ამით გაათავა თავისი ზღაპარი და ცხენმაც ჩემი სადგომის კარებთან მიატანა. — ეს ქირაც შენა და ეს ორი შაური მეტრეცა მაგ ზღაპრისთვის — მეთქი. — ბატონო, ამით თქვენს სადღეგრძელოს დავლეო, წამოიძახა იზოვსიკმა, დაჰკრა თავის ცხენს მათრახი და დროჟკა გვარახუნა.

ბ. წერეთელი.

(ბავარტლებმა შემდეგ №-ში).



რათ ღირს და ხან კი გრძობას არაყინ მის-  
ცას იმაში.

— მითხარი—რაზედ ლაპარაკობ, მამა?

— იმისთანა ნივთზე, რომელიც გამოსა-  
დგია ჩვენთვის სადილობის დროს, მუშა-  
ბაში და სიამოვნებაში, რომელიც გამოსაყე-  
ნებელია ახალგაზრდობისთვის გასაშვებნიერებ-  
ლათ და მოხუცებულებისთვის გზის გასაგნე-  
ბათ.

— რა ნივთია, მამა, ასეთი, მითხარი რაღა?  
„ამ ლაპარაკის დროს ჩვენ წინ-სტოლზე  
სტაქანი იდგა.

— ეს ნივთი შენ წინ დგას; უთხარი მე  
ლიმილით... ეს მიინა!

— ბანა მინა ისე ძვირფასი ნივთია, რომ  
გარეც შენ ამბობ?

— თითონ მიხედვით ახლავე არის...  
„სინათლოთ კაცებს ხომ არ შეეძლოთ გაძ-  
ლებს! მართალია ეს, თუ ტყუილი?

— მართალია, რასაკვირველია.

— მამა იცოდნობ, ჩვენ რომ მინა არ გე-  
ქნაოდა, სინათლის დანახვას ხშირად ვეღარ  
ვეღირებოდით.

— როგორა?

— აი როგორ. წარმოიდგინე უფანჯრო  
სახლები; შეუძლია ადამიანს ამისთანა სახლებ-  
ში დადგომა, თუ არა? უფანჯრო სადგომში  
შესადლებელია დროებით მიიფაროს კაცმა თა-  
ვი, დაიძინოს, მაგრამ მუდამ ყოფნა, მუშა-  
ბა იქ ვერ მოხერხდება. —

— მართალია.

— ახლა წარმოიდგინე იმისთანა სახლი,  
რომელსაც საფანჯრე ადგომები აქვს, მაგ-  
რამ მინები კი არ არის შიგ ჩამული; სინათ-  
ლე შევა, რასაკვირველია, ოთახებში, მაგრამ  
სინათლესთან სიცივეც, წვიმაც, ქარიც და  
თავილიც თავისუფლათ შევლენ. ახალია ვერც  
ამისთანა სახლებში გასძლებს კაცი, ამიტომ  
რომ ჰაერი და სინათლე სხვა და სხვა შემ-  
თხვევებში ხან მარგებელნი არიან კაცისთვის  
და ხან კი მეტათ მეტი მანებელნი. —

— მინის წყალობით ჰაერი და სინათლე  
კაცის ხელშია: რამდენიც და როგორც სა-  
სარგებლოა, იმდენს შემოუშვებს ხოლმე იმათ  
სადგომში; მზეც ანათებს, ქარიც ჰქრის, მაგ-  
რამ კაცს ესენი ვერაფერს დააკლებენ. მართს  
გასაკვირველს რასმე გიჩვენებ, თუ გინდა?

— აბა, მამა!

— ღადგი სტოლი ფანჯარასთან, აიღე ხელ-  
ში ქაღალდი და კალამი და მოემზადე საწე-  
რათ.

— მე მზათ ვარ. რა არის აქ გასაკვირვე-  
ლი?

— გაიხედე ფანჯარაში. ჰხედავ, როგორი  
წვიმა და ქარიშხალია გართა? ჰხედავ რა სისხო  
ხეებს ანძრევს ქარი, როგორი ზვირთები და-  
გორავს მდინარეზე?!... შენს გარშემო კი ყვე-  
ლაფერი მშვიდათ, გაურყვევლათ არის; შენ,  
ასე პატარა და სუსტი კმნილება, ზიხარ შენ-  
თვის ამ დროს წყნარათ და ვერაფერი ვერ  
დაგიშლის საქმის გაკეთებას. ქაღალდი სდევს  
შენ წინ გაუნძრევლათ და ამ ქამათ, რო-  
ცა ქარი თვითქმის ხეებს ამტრევეს; შენს  
ხელში ასე მსუბუქი კალამიც არ ირყევა....  
შის უნდა უმაღლოდ ამისთვის? ამ უბრალო  
მინას, რომელიც ჩაყენებულია ჩვენს ფანჯ-  
რებში და რომელსაც აუარებელი სარგებ-  
ლობა მოაქვს... ტყუილი გითხარი—გასაკვირ-  
ვებელს რასმე გიჩვენებ მეთქი?

— არა, მართალი, მამა! ახლა კიდევ მო-  
მიყვი რამ.

— მე შემოძლია შუალამედი ვილაპარაკო,  
მაგრამ მინც ვერ მოვთვლი უბრალო ქიქის  
ღირსებაებს... შენც იცი, რომ უთვალთოთ კა-  
ცის სიცოცხლე სიცოცხლეთ არ ჩაეარდებო-  
და: რასაკვირველია, ისიც გეცოდინება, რომ  
ხშირათ ქიქა ეხმარება თვალებს თავის დანი-  
შნულების ასრულებაზე. ჩემო შეილო, შენ

ჯერ ყმაწვილი ხარ და კარგათ გემსახურებ-  
თვალები, მაგრამ მე კი ახლავ უნდა გაუ-  
ფრთხილდე ჩემს ძვირფასს საუნჯეს; რომ და-  
ვებრდები, მერე რაღა მეშველება?... რა ეშვე-  
ლებოდა იმათ, რომლებიც სინების დროს  
ხვირინათ ვერ იხედებიან, რა ეშველებოდათ  
იმ მუშებს, რომლებსაც სუსტი თვალები აქვთ  
და რომლებიც ამის გამო საღამომობით ვერ  
იმუშავენდნენ, რა ეშველებოდათ სხვა ათას  
ბევს, ელამს მინის სათვალე რომ არ ყოფი-  
ლიყო მოგონილი!... ახლა ტელესკოპი, რომ-  
ელიც მოგვიხალავს და ცოტათი მინც  
ნათლათ დავგანახებთ მთვარეს, მზესა და ვარ-  
სკელებს? მიკროსკოპი, რომლის შემწეო-  
ბით ჩვენ ეხედვით ათასს ისე პატარა ცხოვე-  
ლებს და მცენარეებს, რომელთაც უბრალო  
თვალთ კაცი ვერ დინახავს! შის უნდა უმა-  
ღლოდეს კაცი, რომ ამისთანა გასაოცარი რა-  
მების მოგონება შესაძლო შეიქნა? იმავე  
უბრალო მინას!

— რისაგან კეთდება ქიქა? მკითხა გაცი-  
ვრებულმა ჩემმა შეილო.

— ქვიშისა და ნაკრისაგან.

„ამ პასუხმა ძალიან გააკვირვა ჩემი შეილი:  
ის ვერ წარმოიდგენდა—რა რიგათ შეიძლება  
ქვიშისა და ნაკრისაგან იმდენ ნაირი მშვე-  
ნიერი ნივთების გაკეთება, როგორც ჩვენი  
სარკეები, მიკროსკოპები, სათვალეები და სხ.“  
მკარე დღეს აეტორი მოუყვება თავის  
შვილს შინაური კურკლების და სხვა ნივთე-  
ბის კეთებაზე; ამასთანავე ის მოიგონებს, ამ  
ნივთების მოხვედრას.

„მოველი ნივთი, რომელსაც ამ ოთახში  
ეხედვით, მოგვიგონებს ჩვენ ათასს წვადებას,  
სიკდილს, ცრემლისა და სისხლის ღვრას!

— როგორა? მკითხა შეშინებულმა ბავშვმა.

— მასოვს ჩვენ რომ თვალზე ამომწვარი  
მუშა ვნახეთ ქიქის ქარხანაში?... მასოვდეს,  
რომ ყოველი ხელობა სიცოცხლეს უმოკ-  
ლებს მუშას. მე არაფერს არ გეტყვი ჩვენი  
სახლების დამხურავებზე, რომლებიც ხშირად  
საშინელი სიძალიდან ეარდებიან და ამ რი-  
გათ ათავებენ სიცოცხლეს; არ გაგახსენებ  
არც იმ ქვის მტეოეელებს და მადნის მთხ-  
რელებს, რომლებიც არა იშვიათათ კვდებიან  
ან ლალმისაგან და ან ქვესენელში—მიწის ჩა-  
მოქცევისაგან; არ გეტყვი ათასს წვადებაზე,  
ავთმყოფობაზე და უღუკმა პურობაზე, რომ-  
ელსაც ითმენენ ხშირათ მუშები... ჩვენ გა-  
ვწინჯით, რომელიმე უფრო ადვილი ხელო-  
ბა... ჰხ დავ ფანჯრებზე ლამაზ ჩითის ფარ-  
დებსა... მუშა-ქალები, რომლებიც ემაგას აკე-  
თებენ ფაბრიკებში, თითქმის ყველანი ავთ  
ჰხდებიან ქლერქით;—აბრკმუშის ამომღებს  
ხშირათ უფუჭდება თითები;—საიქის ფაბრი-  
კების მუშებს უღაბებთ ღძილები და ყბის  
ძვლები;—შალერების მკეთებლები ხშირათ  
იხოცებიან მარგი-მუშკით მოწამელისაგან.—  
ასე, ჩემო შეილო; ახლა ხომ ჰხედავ, რომ  
ის კმაყოფილება და უნაკლოლობა, რომელ-  
შიაც შენ იმყოფები, არის ნაწარმოები რამ-  
დენიმე კაცის წვადებით, ოფლით და შეიძ-  
ლება სიკვდილითაც!... მამ ნუ დაგიწყდე-  
ბა ის ვალდებულობა, რომელსაც გადებს ეს  
გარეშემოკული კმაყოფილება; ჰწევბოდ თუ  
არა ლოკინში, გაიხსენე ის საწყლები, რომ-  
ლებმაც დაამზადეს შენთვის ეს მშვენიერი  
ქვეშ საგები და რომლებიც იქნება ტიტველა  
პოლზე აგლიან ამ დროს; მოუსხდე თუ არა  
ბუხარს, გაიხსენე, რომ იქნება ის, ვინც ეს  
ბუხარი ავთ, თითონ ამ დროს სიცივით კან-  
კალობდეს. მუდამ გახსოვდეს, შეილო, ის  
უნობი მეგობრები, რომლებიც ზრუნვენ  
შენთვის და ეცადე ერთი ორათ გარდაუხადო  
იმათ სიკეთე.“

სხვა და სხვა ამბავი

ნიუ-იორკის სტატში (ამერიკაში) ითვლება  
ახლა ოთხი მილიონი მცხოვრები; მარტო  
შკოლებზე დაიხარჯა აქ ამ წელს 10,480,467  
დოლარადინ \*); ამ ფულიდან—5,586,546  
დოლ. გავიდა მასწავლებლებზე, რომლების  
უმეტესი ნაწილი ქალები არიან; მაგირდების  
წიგნებისათვის დაიხარჯა—27,726; შკოლების  
ფიზიკური და ხიმიკური ინსტრუმენტების-  
თვის—234,382; ნევრების შკოლებისთვის—  
64,765 დოლ.; თვითონ შკოლების ასაშენე-  
ბლათ, იმათი მცხელისთვის და სხვებრ გასა-  
წყობლათ—2,166,566 დოლ.; სხვა მოულო-  
დელი ხარჯი—930,640. შკოლების კასაში  
დარჩა ამ წელს კიდევ—1,470,640 დოლ.—  
ამ შკოლებში სწავლობდნენ წელს—1,464,  
424 ყმაწვილი; 971,512 მაგირდები დაიარე-  
ბოდნენ მხოლოდ რამდენიმე თვის განმავა-  
ლობაში; ნიუ-იორკის შკოლებში ასწავლიდა  
16,586 მასწავლებელი—კაცი და 21,876 მას-  
წავლებელი—ქალები. სულ შტატში—11,673  
შკოლა და ამ შკოლების ბიბლიოთეკებში  
1,064,229 ტომი სხვა და სხვა წიგნებია.—  
(მოსკ. უწყება).

ელეგია.

მედავ, ამ სოფლად არა მაქვს შეგლა,  
სჯობს, რომ ვეძიო სხვაგან ბანაი;  
მისაც შევხედავ, მემდურის ყველა  
და ეზიზღებათ მათ ლაპარაკი.

ის საიშელო ქვეყნად ქმნილება,  
რომელიც ჩემი მსხველი მგონია,  
თურმე ორპირობს და მეფერება,  
თურმე მას გულში სხვა რამ ჰქონია!

ქურში ჩურჩული, პირმოთენობა,  
ღაზედუთ, როგორ გახშირებულა.  
მქვენ რომ გინახავთ, ის წმინდა ვერცხლი  
ამ დროებაში გაყალბებულა.

ჰხედავთ, ავრ კაცს კვენესის, გულჩვილობს  
და ამბობს: „ჩემი სამშობლო მიყვარს“;  
მაგრამ შეატყობთ, რომ ის ორპირობს,  
და მომძვს სისხლით მას ხელი უყარს.

ამის შემხედავს რათ მეპარება,  
მიუო მტრალი, სული მთებოდეს,  
ძაცის სიცოცხლე და ნეტარება—  
ქველანი ერთათ მაგიწვდებოდეს.

მე აღარ ვეძებ, არ მენადლეობ;  
თუნდ უმედური ბედი მხედობოდეს,  
და გული ისე არ მომიკიდება,  
რომ ბედნიერი ვინმე მჩხობოდეს.

მაგრამ არ გხედავ, არ ველი შეგლას...  
დაე-ყარნებმა მინც დამღვრონ.  
და ესთხოვ მომძვსა ერთობით ყველას  
ჩემს გულის ლოდზე ასე დასწვრონ:

„მოიხსენიეთ აქა მდებარე  
მთაღის სოფლისაგან აღრე დამქნარი.  
მისაც მივნილო, ყველგან წაგო  
და მისთვის არის ლოდ ქვეშ მწვლადარი.“

მამინ, ვინ იცის, ეგებ გამოჩნდეს  
ადამიანი, რომ თანამოგონოს  
და ჩემი გულის უხსნელი დარდი  
ამ სტრიქონებში მან გამოიტყოს,  
მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

მ. ჰ. ლადილი.

სამაგრო ცნობები.

„მდისის მოამბეში“ სწერენ, რომ იქ გავე-  
რცელებულა ხმები, რომ ამ ცოტა ხანში  
პურის ფასი კიდევ დაიწევს ძირსო, რადგა-  
ნაც ამერიკის სამხრეთის შტატებიდან და  
ქალიფორნიიდან დიდძალი პური წამოსულა  
მეროპაში.

ბაქსია.

მ. ქტომბრისა, გამოცხადებული მბილისის ქალაქის  
სამმართველსაგან.

ბურღელის ფქვილი პირველი ხარისხისა ღირს—3  
მან. და 20 კაპ. ფუთი; მეორე ხარისხისა—2 მ. 40  
კ.; ხორბლის ფქვილი ფუთი პირველი ხარისხისა—1  
მან. და 30 კაპ.; გამოცხადებული ბურღელის პური გირ-  
ვანქა—8 კაპ., ხორბლისა—2 1/2 კაპ. გირ.; ძროხის  
ხორცი გირვ.—3 1/2 კაპ., ცხვრისა—4 კაპ.; ინდაური  
50—60 კაპ., ზატი—40—50 კაპ., წყვილი ვარია  
20—25 კაპ., ათი კვერცხი—8 კაპ., ფუთი კარტო-  
ფილი—60 კაპ., ბრინჯი პირველი ხარისხისა—4 კაპ.  
გირვ., ფუთი თივა—25 კაპ., ქერი—60 კაპ. ფუთი,  
გარეხილი და დაფქული მარბილი გირვანქა—2 კაპ.,  
გრბო—22 1/2 კაპ. გირვ., საუკეთესო ხაჭვი—30 კაპ.  
ფუთი, ძველი ლობიო გირვანქა—2 კაპ.—

შუთაისის ბაქსია.

ამ წლის ოკტომბრის თვის

შურის პური პირველი ხარისხისა ოყა—  
12 კაპ., მეორე ხარისხისა 6 კაპ. მორნის  
პური ოყა პირველი ხარისხისა—13 კაპ.; ადგი-  
ლობრივი პურის ფქვილი პირველი ხარის-  
ხისა—ექვსი აბაზი, მეორის 1 მან. ახალცი-  
ხის ქერი—1 მან.; ძროხის ხორცი პირველი  
ხარისხისა ოყა—14 კაპ., მეორისა—12 კაპ.  
და მესამე ხარისხისა—11 კაპ. ცხვრის ხო-  
რცი—18 კაპ.; თხისა—14 კაპ.; ქონის სან-  
თელი გირვანქა—12 კაპ.; ნიგვზის ზეთი—20  
კაპ.; ოსური ყველი გირვ.—45 კაპ.; იმე-  
რული—45 კაპ.; დედალი—30 კაპ.; ათი ქა-  
თმის კვერცხი ორ შაურათ; ლობი ბაიშანი—  
60 კაპ.; ყირიმის მარბილი ოყა—3 კაპ.; ქვის  
მარბილი—10 კაპ.; წითელი ლობიო გირვ.—  
10 კაპ.; ქრელი—6 კაპ., საბონი გირვ.—13  
კაპ.; რიონის თევზი ოყა—40 კაპ., ზუთხი—  
40 კაპ.; ფუთი თივა—50 კაპ.; ფუთი სიმინდი  
დაუფქველი—60 კაპ. დაფქული—70 კაპ.—

მ. ქტომბრის მას პეტერბურღის ბირჟაზე

პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადი-  
ოდა — — — — — 156 მან. — — — — —  
მეორე სესხისა — — — — — 152 — 25 კ. — — — — —  
ხუთ სარგებლიანი (5%) სახ. ლმწიფო ბანკის  
ბილეთები — — — — — 87 მან. და 25 კ. — — — — —  
5% გამოყიდვის ბილეთები — 89 მან. 25 კ. — — — — —  
ნახევარი იმპერიალი ღირს — 6 და 62 კაპ. — — — — —  
პური—ჩეტვერტი (7 კოდა) — 11 მან. — — — — —  
ლონდონის—29 3/4 პენსში აძლევენ — 1 მან. — — — — —  
პარიჟის — — 312 1/2 სანტიმში — — — — — 1 მან. — — — — —  
მოსკოვის ბირჟაზე 2 ოქტომბრის.

დერბენდის მნდრო ღირდა ფუთი — 12 მან.

ბუხარის ბამბა — — — — — 13 მან.

ამერიკის ბამბა — — — — — 17 მან. და 25 კ.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.

ქურსები საზოგადოთ დაწეულნი არიან.